

სახალხო ბაზუმი

სურათებიანი ჟამბიანი

გაზეთის № 892

ლაგატიის № 157

კვირა, 12 მაისი 1913 წ.

ზ რ ღ უ პ ა

(დასასრული*)

— გაიგონეთ რაც ვითარებით? დაიხსომეთ? ვაი დედის თქვენის ტყავს, თუ ყოველივე ჩემი ბძანება არ აგისრულებიათ. — ეუბნებოდა ცხენზე ამხედრებული, უკვე წასასვლელად განმზადებული ბოქაული.

— დიახ, ბატონო, დიახ! როგორ არა, შენი ქირიმე, მაშ, მაშ! — უპასუხებდა თავ-შიშველა ერი... დიდხანს, ვიდრე სულ არ მიეფარებოდა ტყეებს და გორაკებს ბოქაული თავის მხლებლებით, თვალს აყოლებდა ხალხი და რას ამბობდა გულში, ღმერთმა იცის... ხალხმა მხოლოდ ეხლა იგრძნო, რომ გულზე რაღაც შავი ლოდი ჰქონდა დაწოლილი, ეს ლოდი ბოქაულის წასვლისთანავე მოჰშორდა გულიდან და ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა; თვალზე გადაკრული ლიბრი მოჰშორდა. შებინდა თანაც. ცეცხლები გაჩაღდა და ხის საკადელზე (თუში) ქვაბები გამოჩნდა შავად, შავს ყორნებით. ვაისმა ნელ-ნელა საკრავების ხმა, სიმღერისა. ცეცხლის სინათლეზე ცხადად სჩანდა როგორ ერთ თასით გაწვდილს მკლავს მეორე მკლავი ეგებებოდა თასის ჩამოსართმევად.

ერთ ბინაზე ორი ახალგაზდა კაცი ბაასობდა ხან რუსულად ლაპარაკობდნენ, ხან ქართულად, იქვე მსხდომი გლეხკაცობა ყურს უგდებდა. ახალგაზდები ჩაცმა-დახურვით მოწაფედს ჰგვანდნენ.

— არა, არ შეიძლება. ხალხის სულიერი მოწყობილობა სრულიად უნდა შეიცვალოს. — უმტკიცებდა ერთი მეორეს, — რადგან იგი უიმედო საძირკველზეა აშენებულიო.

— მაგალითად? დასაბუთე ნათქვამი — და! — ეკითხებოდა მეორე.

— რა საჭიროა, ჩემო ძმაო, ბევრი დასაბუთება, გლეხობის, საერთოდ გაუნათლებელი ხალხის, ზნეობა შიშვეა აშენებული. „შიში შეიქმს სიყვარულსაო“, ნათქვამია რომ არის ეს გაუნათლებელს კაცს შეეფერება და არა განათლებულს. განვითარებულს ადამიანს ეზიზღება ყველა ის, ვინც შიშვა ჰბადებს, ვინც თავის ძალით სხვას იმორჩილებს, სხვის ნებას თავის ნებაზე ათამაშებს, — სხვას კი თავისუფლებას უსპობს. თვით, აი, ამ ხატის სიყვარულიც ხალხს შიშის გამო აქვს. რომ არ ეშინოდეს — გამიწყრება, ზარალს მო? ცემს, მომკლავს ან მომიკლავს ვისმე, ან ეკონომიურად მავნებსო, — ერთიც არ გაიქაჭანებდა ამ დღეობაში. ასეა თუ არა? — ეკითხებოდა მეორე პირველს და ეს უკანასკნელიც თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა...

მლოცავის მხრივ სინათლე იყო უფრო, რადგან ცეცხლები ერთ, ხოლო ხატის მიდამოებში ბნელოდა, ათასში ერთ-გან ყორნებე მიკრული წმინდა სანთელი ბუჩუტავდა, მაგრამ იმის სინათლე ვერა ჰფანტავდა ღამისა და ხის ჩრდილებიდან შექმნილს წყვილად...

ნანგრევთა შორის ვიღაც მოხუცი, წელში მოხრილი, თავზე ხელსახოც წაქრული დაეხეტებოდა და ყავარჯნის ბოლოს ხან აქ, ხან იქ ჩაჰკრავდა ლოდზე, თითქოს დანაკარგს ეძებდა.

— ბეკო, ჰა ბეკო! — მოჰკრა ვიღამაც ხელი ხევის ბერს: — წამოდი, აქ წამოდი — ეუბნებოდა უცნობი. — რაო, რა ამბავია, ბიჭო?! — დაეკითხა ხევის ბერი. — საკლავებია, საკლავებია დასახოცი! — ეუბნებოდა თითქმის ჩურჩულით უცნობი, ხოლო აშქრინებული, აღელვებული, თითქოს კაცის მისაკლავად ან სხვა დიდი რამ დანაშაულის ჩასადენად ემზადებოდა.

— მე რე რო გავგიგონ, რო გვინახოს ვინამ, ან დავგაბიზოლოს? ეკითხებოდა ბეკი უცნობს და თან ყავარჯნს დაჰბჯინებოდა.

— არავინ იბადება, ვინ უნდა დაგაბიზოლოს, ან ვინა გვინახავს, სუ წასულ-წამოსულია ხალხი. აქ აღარავინ არ იბადება არც მღვდელი, არც დიაკონი. — ეუბნებოდა უცნობი, — არ იქნება, ერთი დღეა საკლავებია დასახოცი უნდა დავგიგონო.

მლოცავის ორმა ნაწილმა თავიანთ სამსხვერპლოები დღისითვე მოაფარეს აქეთ-იქით, რომ ღამით დაეკვლევინებინათ

ხევის ბერისათვის, რადგან დღისით ნებას არავინ აძლევდა. ამიტომ აუარებელი საკლავი მოექუჩებინათ იქვე ხატის შორი-ახლოს, გალავნის პირზე და უცდიდა ხალხი ხევის ბერს. ბეკი უარს ვეღარ ამბობდა მით უმეტეს, რომ ხვალ დროშა მთაში უნდა წაებძანებინა „დიდ სალოცავში“. მაინც ყველა დიდი სალოცავები მთაში ჰსუფევენ, ხოლო იმათ მომდევნოები ბარში, როგორც მაგ. წმინდა გიორგი, ღვთისმშობელი და მთავარ-ანგელოზი. ყველაზე მეტად პატივცემული და მიჩნეული მთის ხალხისაგან ეს სამი ზემო აღნიშნული ხატია. ხევის ბერი შეუდგა საკლავების ხოცვას თავისებურის დალოცვით: „წმინდაო გიორგიო, წმინდაო სახსენებლო შენ მიეც წყალობა“, ამბობდა ხევის ბერი. ჩქარა მთელი ხროვა გაკეთდა დახოცილის და სხვა საკლავებისა. სამხვეწროს პატრონებიც თავ-თავიანთ საკლავებს გაფაციცებით ატყავებდნენ. რამდენიც საკლავის პატრონია, იმდენსავი ხელში ბოთლით ან ჩარეკით ზედაშე ეჭირა, ხევის ბერი საკლავს რომ დაჰკლავდა ყანწით ან ქიქით სასმელს აწვდიდნენ რომ სამხვეწრო პატრონი „დაემწყალობნა“ (დაელოცნა). ყველა თასის დაკლა შეუძლებელი იყო, ბეკიც ფთხილობდა ყველას ჰლოცავდა, სასმელს ცოტ-ცოტასა სწრუპავდა, მაგრამ მაინც მოერივა. ძილის დროც მოვიდა, შუალამე უკვე გადასული იყო და იქვე ყორის პირზე, საცა სანთლები ერთი, იმის ახლო მიაყრდნო ზურგი და ჩასთვლინა; დილით სხვა საქმე ჰქონდა უნდა დროშა წაებძანებინა დიდ სალოცავში. ჩაეძინა ბეკს, თავისი ყავარჯენი გულზე მიისვენა და 2 წამს ჩაეძინა. თათქოს ქორმა ქათამი დაიჭირაო, მაშინვე მისი გონება სიზმარმა შეიპყრო. საშინელი სიზმარი ნახა.

ნახა უზარ-მაზარი დევი, ბანჯღლიანი, ბარტყლიანი, საშინელი, საზარელი, პირიდან ცეცხლს ისროდა. ორივე ხელში ლახტები ეჭირა და როცა ერთმანეთს შემოჰკრავდა, ისე ცეცხლსა ჰყრდა, კაცს ეგონებოდა მქედელი გრდემლზე გახურებულს რკინასა ჰკვერავსო. რომელ ხესაც შემოჰკრავდა შუაზე აზობდა; გაკაფა, გააჩანავა თითქმის, რაც წმინდა ხეები იყო, მლოცავი — დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, ვისაც კი იქ მოეყარა თავი დაწოკებული, თავ-ზარდაცემული გარბოდა. აღარავინ გამოჩნდა, ხელი შეებრუნა. ბეკი აენთო, აღელვდა მეტის-მეტად. რაღა ჩემი სიცოცხლეა, რის ხევის ბერი ვარ, რომ წინ არ აღუდგე მაგ წყეულს, ღვთისაგან შეჩვენებულს? მეც დავიმალო? განა შეიძლება ესა? არა, არ შეიძლება ჩემი დამალვა. გასქდი მიწავ და თან ჩამიტანე მაშინ. — ასე ფიქრობდა ბეკი. მაგრამ ფიქრზე მალე ხელი აიღო, დრო არ იყო ფიქრისა, მოქმედება იყო საჭირო. ადგა და მიეგება წინ დევს, რომელიც მოიწვედა წმინდა ნანგრევებისაკენ, — მიეგება ხელ-ხანჯლიანი. ამ ხანჯლით იმას რამდენი ასი და ათასი საკლავი დაუკლავ და. დახე, განგებამ არგუნა წილად ამ ხანჯლით ბოლოს, სიბერის დროს, დევთან ბრძოლა. ცოტა არ იყოს ბეკს გული სტკივა იმის გამო, დროშა არ ეჭირა მეორე ხელში, მაგრამ მაინც დევს არ შეუშინდა, — ან სიკვდილი, ან სიცოცხლე, — ამბობდა ხევის ბერი თავისთვის, თავს გულში, ხოლო დევს ამ სიტყვებით მიჰმართა:

— „სად მოხვალ, სადა, შე მურტალო, შე ცოდვისა, ბოროტებისა ჭ წაწყმედის გულდავ?! დადევ, თორა აგკაფე ასო-ასო ჭ მოვსვარე შენი უწმინდური სისხლით ეს წმინდა ადგილი, რაც უნდა კისერზე ცოდვად დამედვას, მაგრამ ვენაცვალე ჩემს წმინდა გიორგის ის მაპატიებს ამ დანაშაულს ჭ ცოდვად არ ჩამითვალის, თავის მკლავით, თავის მადლით გასწმენდს, გაასპეტაკებს. დადევ გეუბნები, გაბრუნდი, წადი იქვე საიდანაც მოჰსულხარ, მე შენთვის არაფერი წამირთმევია, არაფერი გამომიტაცია; გაბრუნდი, გეუბნები თორა, ამაზე მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან, მოვა შენს თავზე სასიკვდილოდ ჩემი ხანჯალი ჩემის სალოცავის ძალითა! — უთხრა რა ეს ბეკმა დევს, ააპრიალა მის თავზე თავის სახელოვანი ხანჯალი, ხოლო დევმაც გამოაწოდა დიდი, შავი, ბალნიანი მკლავები, რათა წაართოს ბეკს მახვილი. ბეკს უნდა დაჰკრას დევს ხანჯალი, მაგრამ ვერ ახერხებს, ხელი გაუშეშდა, მოუღუნდა, აღარ იცის სიბრაზით რა ქნას, წვერით მოუბრუნა უნდა ჩასცეს გულში; ამაოა ყოველი მისი ცდა.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 155.

— „მომაჯადოვა, წყეულმა, ნამდვილად მომაჯადოვა. ჩემო სალოცავო, ჩემო დარაჯო, ჩემო გამარჯვებულო, მიშველე, ეხლა დამქირდა შენი ძალი, შენი ხმალი. ვაი დეიას მტრისას, უნდა შენი ერთგული ყმა, შენი მოსამსახურე, შენის დროშის მატარებელი გაალახვირო დეესა?!“ — ამბობდა ბეკი და თან სული ყელში ებჯინებოდა, სულთქმა უძნელდებოდა. დევი ცალის ხელით ებლაუქებოდა, თავისკენ მიითრევდა. ბეკი ცოტა არ იყოს შეკრთა და თვალები გააჭყიტა, გარიჟრაჟი იყო.

— ბიძავ, ჰა, ბიძავ, — გათენდა, გაიღვიძე, შენის სულის ქირიმე, — ეუბნებოდა ბეკს, დაყუნთებული შუახნის კაცი და თან ნელა აჯანჯლარებდა, გულის პირთან ჩახაზე ჩავლტების ხელით.

— ჰო, ჰო, დაიცა... დაიცა... ააახ!.. ჰაი, შე... წაილულ-ლულა ბეკმა... ოჰ, გამახარე, შენა ხარ, ბიჭო, რატო არ დამაცალე შე ოჯახ-ქორო?... გათენდა?... ვოჰმე!.. კარგი იყო ცოტახან რო დაგეცადა კიდევ, უფროვო დროს გამაღვიძე. — წარმოსთქვა ბეკმა უკმაყოფილოდ.

— გათენდა, ბიძავ, დროა გამოვამბანოთ დროშა, მლოცავი გველის. რატომ გეწყინა გაღვიძება? შენ ვითომ ძილი არ გიყვარს? — მიუგო დასტურმა გამახარემ.

— ცოტახან რო დაგეცადა, გავიგებდით, ბიჭო, რომელი ვაჯობდებოდა? ხელს რომელი დავრევდით, მაგრამ აღარ დამაცალე. — წარმოსთქვა ბეკმა.

— რა იყო? სიხმარი თუ რამა ჰნახე? — ჰკითხა კვლავ გამახარემ.

— როგორ-არა, დევი შამება, ბიჭო, დევი. — მიუგო ბეკმა:

— და ის იყო უნდა ჩამეცა ხანჯალი შიგ გულში, დახე იმის ყისმათი რო გამაღვიძე: — დიდხანს ვიბრძოლეთ, გაბმულე ვიყვნით, ვახსენე ჩემი წმინდა გიორგი, ვიცი ბამეშყელებოდა და გაუნაწყრომებდი კიდევ ღმერთსა იმ ღვთისაგან წყეულსა, მაგრამ რო აღარ დამაცალე, შე ოჯახქორო! — წარმოსთქვა ხევის ბერმა.

— ღმერთმა დასწყევლოს დევიცა, ალიც-ქაჯიც და ეშმაკიცა, ჯვარი გეწეროს შენცა და ემ ადგილსაცა. აქ დევს რა უნდოდა? როგორ შაიძლება იმან ფეხი შამოდვას ჩვენი სალოცავის მიდამოში. — წარმოსთქვა გამახარემ.

— მეც ეგ მიკვირს, ბიჭო, მაშ!.. უყურებ შენა, ჩემ სიცოცხლეში მაგისთანა სიხმარი არ მინახია და დახე სად, რა ადგილას, როდის მომიხდა დევთან ქიდილი! — ამბობდა ბეკი.

— შენ ეს შითხარ, ბიძავ, ხო არ მოგერია? სატირელი და საჯაგრელი მაშინ არი! — დაეკითხა გამახარემ.

— არა, მორევით ვერა! ხანჯალმა ძალიან მიშველა და დროშაც რო მქერიყო ხელში იქნებარო გავლახავდი. — სთქვა ცოტა არ იყოს ბეკმა თავმოწმუნედ.

— დაილოცა ღმერთი, დაილოცა ჩვენი სალოცავები თუ არ მოგერია! — უპასუხა გამახარემ თან მოახადა ქუდი და ჰარჯვარი გამოისახა: — მაშ ეხლა უნდა ჩვენი წმინდის გიორგის სადიდებულო დავლოთ, შაციებულო, გატანჯული იქნები, ჩარეკაში კარვან არაყან მადგანან, — განაგრძო გამახარემ — და მემრე გავემზადნეთ, მლოცავს ნულარ დავაბრკოლებთ. — სთქვა რა ეს გამახარემ თან ჩარეკას გადააწოდა ხელი გვერდზე ნადგომ ყანწით პირ-დახვეულსა...

— არა უშავ, ბიჭო, უთუოდ კარგი იქნება! — მოუწონა გამახარეს ხევის ბერმა განზრახვა. გამახარემც დაფაცურდა: ჩარეკა ხელში აიღო, ამოაძრო ყანწი პირიდან, დაუსხა არაყი ყანწში და მიაწოდა ხევის ბერს.

— მასვი, ბიძავ, მასვი, კარგს გუნებაზე დაგაყენებს. — უთხრა გამახარემ. ბეკმა ყანწი ჩამოართო მარჯვენა ხელით, რის გამოც მარჯვენა გულზე მისვენებული ყვარჯენი მარცხენა მხარეს მისივინდა და ქუდ მოხდილი დაილოცა.

— დიდება ჩვენს წმინდა გიორგის დიდად სახსენებელსა. გაუმარჯოს იმის ძალსა, იმის ხმალსა, მოგცეს წყალობა, გამახარე, შენცა და ყველა იმის მსახურთაცა. სადიდებულო ჩვენის სალოცავისა იყოს, საწყალობნო შენის თავისა. — სთქვა ბეკმა და გადაცალა ყანწი და მიაწოდა გამახარეს.

— შენი მწყალობელიც იყოს!.. გაამოს! — სთქვა გამახარემ, როცა ყანწი ჩამოართო.

— შენი ცხოვრება ცამდე აავოს. კარგისა ყოფილა ბიჭო! — მოუწონა არაყი ბეკმა თავის პატივისმცემელს.

— კარგია, კარგი, რო გითხარ კარგო, სადილოა არაყია, ეს ერთი ჩარეკა გუშინ დავწალე, ვიცილო გამოდგებოდა. — სთქვა გამახარემ და თან არაყსე ასხამდა ყანწში.

— გიშველა ღმერთმა, კარგი დიასახლისის წესია. ხო გაგიგონია გაწყვეტას გაწვდენა სჯობიაო. გუშინვე რო გაგეთავა დღეს თავებს ვეღარ მოიჩინებდით... ეგ შენ დალიე, შენ დალიე, შენ განა გაწყენს, ბიჭო. — შეუბრუნა თავისკენ გამოწვდილი ყანწი გამახარეს. დასტურმაც არ იუარა.

— გაუმარჯოს ყველა ჩვენ სალოცავებს და იმათი მადლი იყოს ჩვენ ყველათა შამწედ. მოიხსენოს ლაშარის ჯვრის ლაშქარი დახოცილნი, რჯულის გულისადა. — წარმოსთქვა გამახარემ და თან არაყი გადაჭკრა.

ამ დროს ყველა ბინაზე, რა სურათსაც გვიხატავს ხევის ბერიც დასტური, სწორედ ამის განმეორება იყო: ყველანი არაყსა სვამდნენ, ყველანი ხატს ადიდებდნენ და მკვდრების შესანდობარსა ჰსვამდნენ, გარჩევა მხოლოდ ის იყო, რომ მლოცავთა წრეებს (ყეცხლი, ბოლი, ქალები და ბალები) ამშვენებდნენ, ხოლო ხევისბრისა და დასტურის წრეს დახავსებული ლოდები, რიდი ყორები და ყორებზე ირმის დაყანთებული რქები, მონადირეებისაგან შეწირული; მადლიდან გადართხმული ბებერი იფნების და მუხების ტოტები ხავს დაკიდებული.

ბეკმა, გადაალო რა თვალი მლოცავს, ადგომა დააპირა, მაგრამ გამახარე არ უშვებდა.

— დაიცა, ბიძავ, პატარა ხან, ჯერ ადრეა, ნათქვამია:

„სამის არ დამსხმელი და არც შამსმელიო“. მართალია — უსამოდ გველი არა კვდება. ეუბნებოდა გამახარე ხევის ბერს და არც მოეშვა, ვიდრე სამი ყანწი არაყი არ დააღვინა ხევის ბერს და თავადაც არ დალია.

ბეკს ბევრი მოუვიდნენ იპატიებდნენ ბინაზე, მაგრამ ის უარზე იდგა — მოემზადნით, წავიდეთო. ხევის ბერი განკარგულენას ახდენდა, მიეშურებოდა დიდ-სალოცავში.

არ გაუვლია დიდხანს, რომ ზარის ხმა გაისმა: თავ-შიშველა ბეკი ზარსა ჰრეკავდა, დახავსებულ მუხის ტოტზე ჩამოკიდებულს, რომელსაც ენაზე თოკის მაგივრად თეთრი მიტკლის ხელსახოცი ჰქონდა მობმული.

ზარის ხმაზე ერთ წამში მლოცავი ფეხზე წამოიშალა, ქუდოსანებმა ქუდები მოიხადეს და ყველანი კაცი თუ დედა-კაცი გულმხერვალედ შეუდგნენ პირჯვრის წერას.

შეიქნა მზადება, ცხენიანებმა გაამზადეს თავ-თავიანთ ცხენები საკიდვართ, ვინც დროშიანს უნდა გაჰყოლოდა. ვინც — არა, ისინი, თავიანთ სახელში დაბრუნდებოდნენ კუ-

ილიას ძეგლის კურთხევა




ილიას ძეგლი გვირგვინებითა და ყვავილებით.

ლუხი — ბაღის ტომრებში შეხვეული ღვინიანი ტიკებიც აჭიდეს ერთს ცხენს; ხოლო ხევის ბერს თავის საჯდომ ცხენზე ეკიდა საჯხო ხურჯინით. თეთრ კაბებიანი, ფხ-შიშველა დედა-კაცები, დიდის სასოებით ელოდნენ დროშას გამობძანებას... არ გაუვლია დაღანს რაჟ საჯაროდან გამოჩნდა ბეკი; სახე-გაბრწყინებულმა დროშას მადლო ასწია და რამდენჯერმე შეაქლარუნა, თათქოს ხალხს აკრძალა: ნუ გეშინიანთ წმინდა გიორგის ჯერ ძალა არ დაჰკარგვა და მოწყალე თვალით უცქერას თავს მსახურთა და მლოცავთაო, — მასი ძლიერამოსილო დროშაც ჯერ ისევ ბეკს ხელშია და თუ წინად ეს დროშა ლაშქარს დაუძღვებოდა წინა, ეხლა მლოცავს წაუძღვება წინ და მიჰრეკავს დად-სალოცავში; შეხვეწებს ყველას დიდებულს ხატს და გამოუთხოვს უხვს წყალობას.

შეწყარუნდა თუ არა დროშას ზარი, მლოცავი მაშინვე დაღან-პატარაიანად პირქვე დაეშრა და სცა პატრვი თავის იმედს და სასოებას. ბეკს რამდენავე დასტური და აუარებელი ხალხი მოსდევდა თანა. ხევის ბერი და ყველა ცხენიანები ცხენებზე შესდნენ, ხოლო ქვირთები ფეხით დედევნენ დროშაიანს. ბეკს შავი ნაბალი ჰქონდა წამოსხმული იმიტომ კი არა ტანი სიცვიისაგან დაეფარა, — უფრო დროშის დასამალავად და თუ შორს ვისმე საეჭვო აღამიანს (პოლიციის პირს) დაინახავდა, ხევის ბერი ქუდზე სცნობდა, — დროშას ნაქურდალივით ყვარჯენთან ერთად გულზე მიიკრავდა და ზედ ნაბაღს შემოიგდებდა, დაფარებდა.

ილიას ძეგლის კურთხევა



სამღვდელთა და ხალხი ილიას ძეგლის წინ.

ხალხი, როგორც კრუხს წიწილები ისე მისდევდა უკან ხევის ბერსა, ყველა დიდად ბედნიერად ჰგონებდა თავის თავსა, რომ ელირსა დროშის გაყოლას, ყველა დარწმუნებული იყო, სათხოვარი და სანუკვარი აუსრულდებოდა, წინ აღარაფერი ედგა; ყველა ამ მგზავრობას ისედაც ბედნიერებად ჰსახავდა, თითქოს თვითვეული მათგანი ვისმე დიდად დაესარუქრებინოს და მთელ თავის სიცოცხლეში უზრუნველყოფას.

ფეხ-შიშველა დედაკაციები, რომელთაც სულ ცოტა ორმოცი ვერსი უნდა გაეგლოთ ვიდრე დიდ სალოცავში მიღწევდნენ, რიყეზე და ქვიშაზე ისე აბიჯებდნენ თითქოს ფეხქვეშ ხალხები ჰქონდათ დაფენილი. დალოცვილი ხატი მიელოდებოდა აუარებელს ხალხს, რათა ამ უხილავს, ზესთა-ბუნების ძალს მიენიჭებინა ხალხისთვის ის, რაც ხილულმა, ფიზიკურმა ძალამ წაართო მათ და გაუნადა საქებრად, სათხოვენლად, სატანჯავად.. ხალხი თანდათან, ნელ-ნელა გაიკრიფა ამ წმინდა ადგილიდან. იქ დარჩა მხოლოდ დაბლა ნაცეცხლარები, გამოხრული ცხვრისა და კურატის ძეალები, სისხლი დახოცილი საკლავებისა შავად გამხმარი და ჩამკვდარი მიწის გულში. სტაქნების და ბოთლების ნამტვრევები, წკირების და ცარიელბუ-ლი, დაქცეული კოლოფები. წმინდასანთლისაგან შეტრუსული ყორის ლოდები. დიდი მუხის ტოტზე ჩამოკიდებული ხარი მიტკლის სახელურით, დიდრონი იფნების და მუხების, ნიაფის შებერვაზე მთრთოლვარე ფოთლები, ხოლო ჰაერში ამ წმინდა ადგილის გარეშეშეშე განუშორებლად მოფარფატე და მსასოფრელი ხალხის ვედრება და იმედი შველისა, შვებისა და სინარულისა.

მეორე დღეს დაბა №-ში დიდი ჩოჩქოლი იყო, მითქმა-მოთქმა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდა. თათბირობდა. ყველას სალაპარაკო დროში იყო, რომელიც იმ დღით ორმა დარაჯმა და ერთმა ურიადნიკმა დიდის ამბით მოიტანეს ბოქა-ულისა და მაზრის უფროსის განკარგულებით ჩინაურში (თაფების საწყობი) შეინახეს... ჩინაურის კედელი მედნას აღმო-სავლეთით ჰსახვრავდა, რაზედაც გზა მოდიოდა.

მღვდლისა და ბოქაულის მიერ წინა დღეს შედგენილი გეგმა მეორე დღეს დარაჯებმა განახორციელეს: მლოცავს, დროშიანს უყელეს, ვინაიდან იმათი გზა კარგად იცოდნენ; ხევის ბერი ბევრს ეცადა ძალიან გულ-მოღვინედ აფარებდა თავის გახეხილს, გაქუცულს ნაბადს, მაინც ვერ დააფარა სა-ცოდავმა ისე, რომ დარაჯების ბოროტ თვალებს ვერ დაენა-ხათ იგი; დაინახეს და უწყალოდ კამოჰლოაჯეს ხელიდან, უშა-შრად ისე, როგორც უბრალო ჯოხი. ბეკმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია როგორც წესია, მხოლოდ სიტყვებრად შეეკაპა-თა:—„ნუ სჩადით მაგას, ბიჭო, ნუ! იწამეთ ღმერთი. იფაქრეთ და რასა სჩადით“. —ეს იყო და ესა!.. მხოლოდ როცა წავიდნენ, დარაჯებს უკან წყევა-კრულოვის სატყევი დაადვენა!

—„გრისხავდეთ, გაგიწყრესთ მაგისი მადლი, ღმერთმა! ჩემსა წმინდა გიორგიმ ნურა კარგი განახვიანოსთა!..“

მლოცავს ე. ი. დროშიანს ოთხმოცამდე კაცი და ქალი შეადგენდა, მაგრამ იმათ შორისაც არავინ გამოჩნდა ისეთი, სა-წინააღმდეგოდ, დროშის შესანარჩუნებლად, დასაცველად, ენ-მარა ისეთივე ძალა, როგორსაც დარაჯები ხმარობდნენ. თქვენს მტერს მოსწყდეს წელი, როგორც მთელს ხალხს წელი მოს-წყდა, განადგურდა, ჩაითუთქა; პირ-დადებულო, გამტკნარებუ-ლები ერთი-მეორეს შესჩერებოდნენ: „რა ექნათ? რაღა გვე-შველებათ?“ თვალებით ერთმანეთს ეკითხებოდნენ.

ხალხი გვიან-ლა მოვიდა გონს და ჩვეულებრივ საშუა-ლებას მიჰმართა დროშის დასახსნელად. წინაღ თუ ხმლით

იცავდა მამა-პაპა ამ დროშას ღ არ ანებებდა მტერსა, ესლა ფუ-ლით უნდა დაეცვათ, დაეფარათ იგი, ე. ი. გამოეხსნათ მტრის ხელიდან. ხელ-და-ხელ მოაგროვეს ერთი თუმანი ფული ღ რამ-დენიმე კაცი გამოეკიდა დარაჯებს უკან, მაგრამ ხელ-ცა-რიელები დაბრუნდნენ.. „ათასი თუმანიც რომ მოგვეცეთ, ჩვენ ისეთი ბძანება გვაქვს, დროშას ვერ დაგიბრუნებთ ვერა გზი-თო“. —იყო დარაჯების პასუხი.

რა თქმა უნდა თუ ხალხი სწუხდა, ხევის ბერს რაღა გაალაღებდა, ბეკი უარესად შეწუხებული იყო, იმას დროშის ნაცვლად ხელში მხოლოდ ყავარჯენი-ლა შეჰრჩა. ის მაინც იმედს არა ჰკარგავდა და, როცა დროშის გამოსახსნელად დაბ-რუნებულმა კაცებმა დარაჯების პასუხი მოიტანეს, ბეკმა ხალ-ხის გასაგონოდ წარმოსთქვა:

— „ფიქრი არ არი, ვენაცვლე ჩემს თამარისეულს, თა-ვის-თავს თითონ დაიხსნისო!“ —ხევის ბერი დროშას მეტ სა-ხელს თამარისეულს ეძახდა.

— „გრისხავდეთ მაგის მადლი და ძალიო!“ —ხალხის გულიდან მხოლოდ ეს სიტყვები ამოდიოდა ამ თამად.

ყველა ჰგონებდა თავს უთავო-უხელ-ფეხოდ, —ჰგონებ-და ისე, რომ დარაჯებმა მოჰკვეთეს ნახევარი ასო და ისე გა-უშვეს თვითვეული მათგანი. გზა-კვალ არეულ წეროვებსავით, აღარ იცოდნენ რა ექნათ, საით წასულიყვნენ —განეგრძოთ გზა, თუ უკან დაბრუნებულიყვნენ; დროშამ გაიყოლა თან იმათი სული და გული; დროშა, როგორც ჩანგალი მაზე მიბმულ თევზს, ისე იზიდავდა თავისკენ ხალხის ოცნებას. საცა დრო-შაა, ღმერთიც იქ არი, თუნდა ბოსელში შეიტანო. და ამი-ტომ, მლოცავს დროშა რომ ჩინაურში დაქანებულ თოფებ-თან ერთად დაყუდებული დაენახათ, ისევე მუხლს მოუყრიდნენ, როგორც წმინდა გიორგის სალოცავში. დღეს ეს დროშა მტრისაგან შეურაცხყოფილია, ჯავრი არ ამოიყარეს... „ჩვენ თუმც ჩვენის უძლურებისა გამო ვერაფერი უშველეთ დრო-შას, მაგრამ არაფერი უშავს, ის თავის თავს უშველის“. ეს ფიქრი უფლავდა ყველას თავში, და გულში იმედი ესახებოდა, რომ დროშას როცა იქნებოდა დაეპატონებოდა ხევის ბერი და ხალხიც ჩვეულებრივად გაჰყვებოდა თან მის სადიდებლად და სასახლოდ ეხლა კი, მეტი რა ღონე იყო, უნდა უდრო-შოდ წასულიყვნენ მთაში, დიდ-სალოცავში. უნდა მისულიყ-ვნენ იქ გაცვრცილნი, შეურაცხყოფილნი, დამხობილიყვნენ წინაშე დიდი ბატონისა და შეეჩვილათ მისთვის თავიანთ მწუ-ხარება, ვარამი, დაჩაგვრა, შელახვა ხალხის თავ-მოყვარობი-სა, შეგინება დროშისა. ხალხი აღარაფერს დაუმალავდა დიდე-ბულს თავის სალოცავს, ამოანთხევდა მის წინაშე მოგუბე-ბულ ნალველს, შინაურს თუ გარეულს, და მოსთხოვდა, რომ დაჰხმარებოდა იგი და შეემსუბუქებინა თავის მოსავთათვის ტვირთი მძიმე და გაეცა პასუხი იმისთვის, ვინც ხალხსა სჩა-რავს და ჰმტრობს, —ვინც ფეხ-ქვეშ სთელავდა ერის უფლე-ბას, არაფრად ავდებდა ხალხის ზნე-ჩვეულებას და სხვა ბეკი კარგად ჰხედავდა, ცხოვლად ჰგონებდა, ხალხის გულს მო-სეული ნალველი ყორანივითა სწიწკნიდა. ხევის ბერის გული ხომ გულად აღარ ჩაითვლებოდა. ის დამწვარიყო, დანაცრე-ბულ-დადაკვლებულიყო, ბეკისავე ცრემლით დასველებული, ხაქოს კვერასავით შეკუმშული ეჩარა მკერდში, როგორც ყო-

ილიას ძეგლის კურთხევა



სამღვდელთა და ხალხი ილიას ძეგლის წინ.

რეში უბრალო რამ რიყის ქვა... ბეკი ცოცხალ-მკვდარს და-
ემსგავსა, მაგრამ ხმა ერის გაამხნეველი ისევ იმან ამოიღო,
ხალხი ანუგეშა, სასოება დაბადა მის გულში.

— „ხალხნო!“ — წარმოსთქვა ბეკმა გამტკნარებული ხალხის
წინაშე:

— „ნუ იღარდებთ, გულს ნუ გაიტებით, ჩვენს მამა-პაპას
ბევრი ვაება უნახავ; საქართველოს თავზე ბევრს ვაი-ვაგლახს
გადაუვლია, დროშებიც ბევრჯერ გაუტაცია მტერსა, საყდრე-
ბი და ხატებიც ბევრჯერ დაუნგრევია, ხალხიც მრავალი გაუ-
წყვეტია, — კალოდ უღეწავ მკვდარი, მაგრამ საქართველო ისევ
საქართველოდ დამრჩალა. გასულა ხანი, ხალხი ისევ გამრავ-
ლებულა, ხატ-საყდრებიც აშენებულან, დროშაც გაახლებუ-
ლა. გულს ნუ გაიტებით, გენაცვლოსთ ბეკი, როგორც გვი-
ლოცია ისევე ისე ვალოცოთ ჩვენი სალოცავი. დღეს უდრო-
შონი ვართ, მართალია, მაგრამ ხვალ ღმერთი ისევ დაგვიბრუ-
ნებს დროშას. წავიდეთ, ძმებო, ჩვენი ბატონის (სალოცავი)
ძალი და მადლი იქვე დაგვხვდება, იმას იქიდან ვერავინ მოი-
ტაცებს, თუნდა მთელი ქვეყნის ხემწიფეები მოვიდნენ თავის
ჯარებით და ზარბაზნებით. იმის წართმევა მარტო ღმერთს
შეუძლიან და სხვას არავის. კაცნი-კი, რაც უნდა ეცადნენ,
ღმერთობას ვერ იზმენ!“

ბეკი ამ სიტყვას რომ ამბობდა მთელი სახე უთრთოდა
და მზად იყო იმის გულიდან, როგორც ცეცხლის მფრქვეველ
მთიდან, ამოეხეთქა ქვითინს, მაგრამ სასწაულებრივ თავს იჭერ-
და, გულს იმაგრებდა.

— მაშ, მაშ, უნდა წავიდეთ, შინ ხო არ გავბრუნდებით,
უნდა ვილოცოთ! განა დალოცვილმა ხატმა არ იცის, როგო-
რი დღეც გვადგა. უდროშოდ მისივლას აროთ გვიწყენს?! —
წარმოსთქვა ხალხმა.

— „არ გვიწყენს, არა, დაილოცოს იმისი მადლი და სახელი,
დაიდაც რო იცის საქმე როგორც არი“ — გაამხნევა კვალად
ბეკმა ხალხი:

— „ღმერთო, მოგვიმართე ხელი, ღმერთო და ჩვე-
ნო სალოცავებო, ნუ მოგვიძულებთ, შაგვეწიეთ, გვიშვე-
ლეთ!“ — სთქვა ბოლო დროს ხევის ბერმა და ცხენით, ნელის
ნაბიჯით, გაუძღვა წინ მორჩილ მრევლსა. ბეკი წაუძღვა
ხალხს წინ, რათა გადაეხადა დღესასწაული, აესრულა თავისი
მოვალეობა, თუმცა იმისი სული და გული დროშასთან იყო
და გულში გადაწყვეტილი ჰქონდა მტკიცედ, გაათავებდა
თუ არა ხატობას, იმ წამსვე შესდგამოდა დროშის ტყვეობი-
დან გამოჰსნის საქმეს.

ხატის სალოცავად დამშეული და გასწრაფებული ხალხი
ამსობაში მთის კალთებზე მოტანტალე ნისლეგმა დაფარეს,
შეახვიეს ისინი ძაძაში, როგორც ძვირფას სამოსელში. ბუნე-
ბამ თითქოს ამით ანუგეშა გულ-დაწყლული ერი და დაუბა
მწვავე იარა...

V

რა მოხდა შემდეგ? — ჩვეულებრივი ამბავი: ფულების მოგ-
როვება დასტურების მიერ და კაცების ძებნა მთავრობაში
გასაგზანად, სათხოვნელად, საშუაველოდ. კაცები შეამზადეს
და გაგზავნეს მაზრის უფროსთან და აგრედვე ქალაქს, მაგრამ
ბეკი იმათ არ ენდობოდა და თავადაც თან დასდევდა რწმუ-
ნებულებს... იმას მთელი ერთი კვირის განმავლობაში მუდამ
დღე ჰნახავდით ბოქაულის კარებზე ქულ-მოხდილს, ყავარჯენ-
ზე დაბჯენილს, თავ-ბედ ჩამომტირალი სახით...

— შენ, ბერიკაცო, ხომ არ გინდა ციხეში თავი გიკრა?
რა სულთამხუთავივით დამდგომიხარ თავზე, შე ოჯახ-დაქცე-
ულიო? დასწყევლა ღმერთმა, ხათაბალაა!.. არ შეიძლება-მეთ-
ქი ხომ გითხარი? შენ ქართული გეყურება თუ არა? რა ტუ-
ჩებს აცმა-ცენებ? დამაშტერე, კარვად დამაშტერე თვალები!
მამა გიცხონდა ეხლავე წინ მოგაგებებ, არა? შე, არა წმინდავ,
კერპო-მსახურო, ქვეყნის მატყუარავ, დასაღრჩობი ხარ შენა!
გესმის თუ არა, ჰირდაპირ დასაღრჩობი, არა მაშ?! სთქვი სწო-
რედ, რატომ ხმას არ იღებ? — ეუბნებოდა განრისხებული ბო-
ქაული გასაცოდავებულს ხევის ბერს და თანაც მზად იყო
სიტყვა საქმედ განეხორციელებინა, უკეთუ ბეკი არ შეისმენდა
და არ მოჰშორდებოდა ბოქაულის კარ-მიდამოს.

— ვარ, ბატონო, მაგრამ... — სთქვა ხევის ბერმა, მაგრამ
წინადადება ვერ დაასრულა, სიტყვები ასლის ფხასავით ყელ-
ში ეჩხირებოდა, მეტის-მეტი მღელვარებისაგან ენა ებმოდა,
ამიტომ იმას, რაც ენით უნდა ეთქვა თვალებით ლაპარაკობ-
და. ბევრს რასმე ამბობდა ბეკის თვალები იმისთვის, ვისაც

გრძნობა აქვს, ვინც არ არი მოკლებული მადლს...
გულში ჩაიხედოს და შეიგნოს მისი სულის ვითარება. ბევრს
რასმე გამოიტყუა ხევის ბერის თვალები. იმაში მდურვაც იყო,
თხოვნაც, სურვილი შთაგონებისა, რომელიც უნდა ასე ზა-
გვეგო: განა შეიძლება ქართველი კაცი საქართველოსა ჰლა-
ლატობდეს? ვაჰ დედას მტრისას, განა ქართველმა კაცმა არ
უნდა იცოდეს, რომ დროშა ერის სულიერად აღმზღელია და
არა წამწყმედელია?! და სხვ. და სხვ. ბეკის დაჟინებით სია-
რული მაზრის უფროსთან, ბოქაულთან და სხვა მოხელეებთან
დასტურებმა, რწმუნებულად ამორჩეულმა კაცებმა საქმის სა-
ზარალოდ ჩათვალეს და ამიტომ ხევის ბერი შინ გაგზავნეს,
ხოლო თავად რაც შეეძლოთ ჰქუას, გამოცდილებას არ ჰზო-
გავდნენ, რომ დროშა როგორმე გამოეხსნათ საპრობილიდან;
არხეას არხებზე ჰგზავნიდნენ და მიდ-მოდოდნენ სოფლიდან
ქალაქს-ქალაქიდან სოფლისაკენ. ბევრი გამოუჩნდათ მანუგეშე-
ბელი, დარიგების მიძცემი. თავადაც იმედს როდი ჰქარგავ-
დნენ, თავის თავს თვითონვე არიგებდნენ, ბჭობდნენ როცა
ერთად შეიყრებოდნენ — რა ვთქვით, როგორ მოვიქცეთ, რომ
ჩვენი თხოვნა უკანონოდ არავინ ჩათვალოსო. მეცადინებამ
რწმუნებულებს ამოდ არ ჩაუარა და როგორც იყო **თამარისე-
ული** დაიხსნეს მტრის ხელიდან, ანუ როგორ? თავად ხალ-
ხი ამბობდა, — დროშამ თავის-თავი თავად დაიხსნაო. ხალხი
მაზრის უფროსის მიერ დროშის ჩაბარების ამბავს სხვა და სხვა
ფერადებით ამკობდა. საქმე იქამდის მივიდა, თურმე, ბოლოს
ნაჩალიკი ეხვეწებოდა დასტურებს: „წაიღეთ, თქვე მამაძალღე-
ბო, რე მომაშორეთ ეს თქვენი დროშა აქედან, თორემ ლამის არი-
სტრაჟნიკების ცხენები კი არა მარტო, ლამის სტრაჟნიკებიც
დაცოფდნენ და ეს ცოტაა კიდევ, — იქნება მთელი ჩიხაურაც
კაგიჟდეს — თოფებმა თავის თავად სროლა დაიწყონო. მომა-
შორეთ, ჩქარა მომაშორეთ თავიდანაო!“

მთელი ეს ამბავი დაბადა ერთმა შემთხვევამ, რომელიც
მოხდა დაბა **ნე-ში**. ერთ დარაჯთავანს, სწორედ იმას, ვინაც
ბეკს დროშა წაართვა, ჩამოიტანა და ჩიხაურში მოათავსა,
სწორედ იმას გაუგოდა ცხენი; ცხენმა მხედარი გადმოაგდო
და თავი მიახლინა გალაგნისთვის სწორედ იმ ალაგას, საცა
ჩიხაური იყო; თავ-გაჩნებოდა დარაჯმა იმ წამსვე სული განუ-
ტემა...
მაშინათვე, ვინც-კი გაიგონა ეს ამბავი, ყველა ამას ამ-
ბობდა: „კიდევ რაატყვევებთ დროშას, ვერ ნახეთ რა ძალა
ჰქონია წმინდა გიორგისო?!...“

მაგრამ ყველაზე მეტად გალადებული ბეკი იყო, სწო-
რედ მზე მოჰფენოდა სახეზე, მის სახეს და შუბლს ნაოჭები
დაჰქარგვოდა, ჰბუჟის სახეს დაჰმსგავსებოდა, პირი უღიმოდა;
დროშას, ვით დედა შვილს, გულში იხუტებოდა; პირველად
როცა მიუტანეს და ჩაბარეს, სიხარულით ცას დაეწია, დრო-
შას ხან ასწევდა მადლა და ხან დაუშვებდა და თან ამას ამ-
ბობდა.

— ვენაცვლე ჩემს თამარისეულს, აკი მაშინვე გითხა-
რითა, ბიჭო, თამარისეული თავის-თავს თავად უშველსო,
ჩვენი შველა საჭირო არ არიო? დასთხაროს ღმერთმა თვალე-
ბი, ვინაც ჩვენ თვალებსა გვთხრის, ვერა ნახეს, ვერ გაიგეს
რაც ძალა ჰქონია ჩვენს სალოცავსა. აბა ნუ დაგვეხსნიან,
იქნება ისე გაუხადოს საქმე სუ ამოჟლიტოს ყველანი თავის
ცოლ-შვილიანადა. აი, ი ჩემი სიზმარიც აცხადდა, დევი რო
შამება, მაგრამ, დაილოცა ღმერთი, ვერ გამლახა, იმედია ვერც
ამის შამდეგ გამლახავს; მანამ თამარისეული ჩემთან არი, მე დე-
ვი ვერას დამაკლებს. ვენაცვლე მაგის მადლსა და ძალსა, უწა-
მებელს აწამებინებს თავის თავსა!“ — ეუბნებოდა სახე გაბრწყინ-
ვებული ბეკი გარს შემორტყმულ ხალხსა.

— გაგიხარია, აწამებინა კი არა, დაილოცა მაგის მადლი
და სახელი, მეტიც იყო. თავში ჩვენ ვეხვეწებოდით, დროშა
დაგვიბრუნეთო, დიდს უარზე იდგნენ და ბოლოს კი ნაჩალიკი
გვეხვეწებოდა — წაიღეთ, რე მომაშორეთ თქვენი დროშა თავიდა-
ნაო! — უპასუხებოა ბეკს განარბებული ერი.

ბეკი კარგა ხანს აღარა ჰშორდებოდა დროშას და როცა
მარტოკა იყო ელაპარაკებოდა იმას, დღეში სამჯერ უცვლი-
და ადვილს, არ იცოდა სად შეენახა, რომ მის იმედს და ნუ-
გეშს მურტლის ხელით არავინ შეჰხებოდა, — არ გასწყრომო-
და კიდევ ვისმე ღმერთი რე არ ჩამოეყარათ მისთვის **თამარისეუ-
ლი** მაგრამ ეხლა ხევის ბერი სრულიად სხვა ფიქრზე იყო.
დამდგარი: „მაშინაც დავაშვე, რომ თამარისეული ისე უომ-
რად დავანებე სტრაჟნიკებსა, არ ვიცი რამ შემკრა, რამ მომა-
ჯადოვა. ეხლა-კი, ეხლა, თუ კიდევ ვინმე ხელი ახლო, ჩემის
სალოცავის მადლმა, ისე ადვილად აღარ დავანებებო...“

გაუა-ფ შაველა.

